ეროვნული ბიბლიოთეკა

# კლდე

ნაციონალური და აგრარული პოლიტიკის ორგანო

(ივლისის 20)

(ივლისის 7)

1920 წელი

№ 30

ფასი 5 მან.

„კლდე“

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება

ფასი წლის დამლევამდე (ფოსტის ხარჯებით) 1000 მან.

მისამართი:

რედაქციის: დამფუძნ. კრების ქუჩა № 5.

რედაქტორის: წყნეთის ქუჩა № 17

ტელეფონი 22.

განცხადებათა ფასი: ტექსტის წინ—სტრიქონი 8 მან; ტექსტის შემდეგ — 6 მან. განცხადებები მიიღება ს. პეკკერის კონტორაში: რუსთაველის ქ. № 12 ტელ. 17—92 დილის 9—2 საათამდის და 5—8 საათამდის.

გრილო კინემო „მინიონი“ ივლისის 18, 19 და 20-ს

„ეპატიოს თუ არა“

ორიგინალური სალონური ამერიკული დრამა 5 აქტად.

მთავარ როლში ნიუიორკის თეატრის მსახიობ-ქალი ლილიან ლორენი

**რადგან ყოველდღიური გაზეთისათვის საჭირო ასოთამწყობთა შტატის შედგენა არ დაგვისრულებია, დღეს „კლდე“ გამოდის ნახევარი ფორმატით.**

თფილისი, 20 ივლისი

## ყოველდღიურ „კლდისათვის“

დღეიდან გაზეთი „კლდე“ გამოვა ყოველ დღე.

მალე ორი წელიწადი შესრულდება, რაც ეროვნულ დემოკრატიული პარტია გაიყო და ჩვენ, ნაციონალისტებმა, „კლდის“ გამოცემა განვაახლეთ.

ამ ორი წლის განმავლობაში ბევრი ქონებრივი და სხვანაირი დაბრკოლებაც შეგვხვედრია გზაზე, მაგრამ აქამდის მოვატანეთ მაინც ჩვენი ძალებით, უსუბსიდიოთ.

ჩვენზე გაცილებით უფრო უზრუნველყოფილი ფინანსიურათ „ბურჟუაზიული“ „საქართველო“ კი, როგორც მკითხველს მოეხსენება, უკვე მესამე თვეა რაც აღარ გამოდის.

ეხლა ჩვენ საჭიროდ და შესაძლოდაც დავინახეთ „კლდის“ გადაქცევა ყოველდღიურ გაზეთად.

დღეს დღეობით „კლდე“ ერთად ერთი ყოველ დღიური არასოციალისტური გაზეთია და ჩვენ ვეცდებით, რომ ყოველ დღეც „კლდემ შეასრულოს ის, რასაც აქამდის ასრულებდა ყოველ კვირა — პირდაპირი დაცვა ნაციონალური (ეროვნული) და აგრარული (სოფლური) ინტერესებისა და პირდაპირი ოპოზიცია ყველა იმ ნაკლულევანებათა, რომელნიც თან სდევს დღევანდელ სახელმწიფო და საზოგადოებრივ რეჟიმს.

## რუსულ-ქართული კომისია

### ქართული დელეგაციის განცხადება:

რუსეთის დელეგაციის ა. წ. 13 ივლისის განცხადების საპასუხოდ საქართველოს დელეგაცია საჭიროდ სთვლის განაცხადოს შემდეგი:

1) ეთანხმება რა მას, რომ ხელშეკრულობის ნამდვილი აზრის განმარტების საუკეთესო მეთოდს წარმოადგენს მისი გაგება კეთილ სინდისიერად და მხარეთა სურვილისა და მიზნის, ე. ი. „ბონა ფიდეს“ მიხედვით და რომ ხელშემკვრელ მხარეებს სახეში უნდა ქონდეთ ხელშეკრულობის კეთილ სინდისიერი და არა სხვაგვარი განმარტება, საქართველოს დელეგაცია საჭიროდ სთვლის აღნიშნოს, რომ სწორედ ამ საერთო პრინციპებმა მიიყვანა იგი იმ უცილო დებულებებსა და დასკვნებამდის, რომელიც გამოთქმულია ა. წ. 30 ივნისს მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში. გაეცნო რა რუსეთის დელეგაციის აზრს 7 მაისის ხელშეკრულობის მეხუთე მუხლის 1-სა და მე-3 პუნქტების შესახებ, საქართველოს დელეგაცია იძულებული იყო მიემართა ხელშეკრულობის ინტერპრეტაციისათვის, რომელიც მდგომარეობს სიტყვების პირდაპირ მნიშვნელობის გამორკვევაში, მათ გრამატიკულ კონსტრუქციაში, სიტყვებსა და წინადადებებს შორის ლოღიკურ კავშირის გამოკვლევაში და საერთოდ ესარგებლა ყველა იმ მეთოდით, რომელთაც მივყევართ შეთანხმების ჭეშმარიტი აზრის გაგებისაკენ. ამ თვალსაზრისით ხელშეკრულობის ჭეშმარიტი აზრის გამოსარკვევად, ე. ი. მხარეთა მიზნების გასაგებად, მეტად სერიოზული და არსებითი მნიშვნელობა აქვს, როგორც ხელშეკრულობის საერთო გამოთქმას, აგრეთვე მასში არსებულ სიტყვებსა და მთელ წინადადებებს; ამიტომ ამა თუ იმ გრამატიკულ ფორმებს ხელშეკრულობის განმარტების დროს აღძრულ დავაში შეუძლია იქონიოს არა შემთხვევითი, არამედ, შესაძლებელია, გადამჭრელი მნიშვნელობაც. საქართველოს დელეგაცია ხელშეკრულობის შინაარსის გამორკვევისას არ ხელმძღვანელობდა მარტო მისი გრამატიკული განმარტებით, არამედ ხელმძღვანელობდა როგორც მისი ისტორიული ჩამომავლობით, აგრეთვე მასში მიღებულ დებულებების საერთაშორისო უფლების საერთო ნორმებთან შეთანხმებით.

2. არსებითად რომელიმე ხელშეკრულობის და მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულობის უფლებრივ დასაბუთებად ითვლება მხარეთა კეთილი სურვილი და მათი შეთანხმება იმდენათ, რამდენათაც ეს, რა თქმა უნდა, უფლების საერთო ნორმებს არ ეწინააღმდეგება. საერთო ნორმა უფლებისა და მასთან საერთაშორისო უფლებისა ღაღადებს, რომ არც ერთ კანონსა და არც ერთ ხელშეკრულობას არა აქვს პირიქითი მოქმედების ძალა და რომ მას ყოველთვის ძალა აქვს მომავალში. თუ კანონმდებელს, ან ხელშემკვრელ მხარეებს სურთ კანონს, ან ხელშეკრულობას პირიქითი ძალა მისცენ—ეს პირდაპირ და აშკარათ უნდა აღინიშნოს თვით კანონში, ან ხელშეკრულობაში.

7 მაისის ხელშეკრულების მე-5 მუხლის უფლებრივ დასაბუთებას წარმოადგენს მხარეთა შეთანხმება იმის შესახებ, რომ „ამიერიდან საქართველოს ტერიტორიაზე არ დაუშვან არავითარი სამხედრო მოქმედება, სამხედრო ძალთა არსებობა და საერთოდ სხვა მოქმედებანი, რომელიც მიმართული იქნება რუსეთის სოციალისტურ საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ამ მოსაზრებით, მხარეთა შეთანხმების გამო საქართველომ ვალად იდო „დაუყოვნებლივ განეიარაღებია და დაეკავებია“ მხოლოდ ის ჯგუფები და ნაწილები, რომლებიც ხელის მოწერის დროს იყვნენ, ან მომავალში გაჩნდებოდენ საქართველოს ტერიტორიაზე.

ხელშემკვრელ მხარეებს რომ მიზნათ ქონოდათ მე-5 მუხლის ძალის იმ ობიექტებზე გავრცელება, რომელნიც ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდის არსებობდენ საქართველოში, ე. ი. მხარეებს რომ სდომოდათ მე-5 მუხლისათვის პირიქითი მოქმედების ძალა მიენიჭებინათ, ეს პირდაპირ და აშკარათ უნდა ყოფილიყო აღნიშნული თვით ხელშეკრულებაში, რაც ამ შემთხვევა არ არის.

3) მიუხედავათ ზემო მოყვანილ საერთო დებულებებისა, რაც სავსებით სწურავს საკითხს, საქართველოს დელეგაცია ფიქრობს, რომ ის საკითხის ბედის გამორკვევის დროს, რომელიც შეეხება სამხედრო და საზღვაო — სამხედრო ქონებას და იმ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც საქართველოს საზღვრები გადმოულახეს და ა. წ. 7 მაისამდე იყვენ დაკავებულნი, საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ის დამოკიდებულება, რომელიც მოხალისეთა ჯარსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის არსებობდა. რადგანაც „საქართველოსა და მოხალისეებს შორის პერმანენტული ბრძოლა არსებობდა, ბედი მთელი სამხედრო ქონებისა, რომელიც საქართველომ ჩამოართვა მათ ა. წ. 7 მაისის ხელშეკრულობაზე ხელის მოწერამდე, განისაზღვრება ომიანობის ნორმებით, ე. ი. ამა თუ იმ გზით მტრისათვის წართმეული სამგედრო და სხვა ყოველგვარი ქონება ცნობილი უნდა იქნეს საქართველოს საკუთრებათ, როგორც ნადავლი, მიუხედავად იმისა შემდეგში მხარეებმა მოხალისეები მეომარ მხარეთ, თუ მეამბოხეებათ იცვნეს.

ამგვარად 7 მაისის ხელშეკრულობის განმარტების შედეგი შერეულ კომისიის ფარგლებში, ე. ი. კეთილსინდისიერ განმარტებით, როგორც მისი შინაარსის, აგრეთვე მისი ნამდვილი და ლოღიკური აზრის მიხედვით არის შემდეგი: ამიერიდან ე. ი. 7 მაისიდან საქართველოს ტერიტორიაზე არავითარი საწინააღმდეგო რამ არ უნდა მოხდეს რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკისა და ამიტომ საქართველო ვალდებულია გადასცეს რუსეთს მხოლოდ იმ ჯგუფთა და ორგანიზაციათა ქონება, რომელნიც აღმოჩნდებიან საქართველოს ტერიტორიაზე განუიარაღებულნი და დაკავებულნი ა. წ. 7 საისის ხელშეკრულების ხელის მოწერისა და მის შემდეგ დროში. ასეთია აშკარა აზრი ხელშეკრულების მე-5 მუხლისა.

ამიტომ საქართველოს დელეგაცია ადასტურებს ა. წ. 30 ივნისს წარმოდგენილ განცხადებას.

**დეპეშათა სააგენტოს განმარტება.**

ქართულ-რუსული შერეული კომისიის რუსული დელეგაციის განაცხადების გამო, რომელიც გამოქვეყნებული იყო საბჭოთა მთავრობის შეტყობინებით ბიუროს მიერ, საქართველოს დეპეშათა სააგენტო საჭიროდ სთვლის თავის მხრით განაცხადოს, რომ რუსეთის დელეგაციის მტკიცება, თითქოს საქართველოს დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს მიეღოს ცნობები არა კომპეტენტურ წყაროებიდან, უსაფუძვლოა: ფოთის კონცენტრაციული ბანაკის დასათვალიერებლად გაემგზავრა არა რუსული დელეგაცია, არამედ შერეული რუსულ-ქართული კომისიის ორი რწმუნებულისაგან შემდგარი დელეგაცია: ერთი რუსეთის დელეგაციისაგან ბ. ზარინი და ერთი ქართული დელეგაციისაგან კაპიტანი კოსტანაიშვილი ამ უკანასკნელმა აცნობა საქ. დეპ. სააგენტოს თანამშრომელს თავის დროზე გამოქვეყნებული ცნობები. სააგენტო ფურცლები შეავსო დაკავებულთაგან მხოლოდ ოცმა კაცმა. ამ რიცხვს არც რუსეთის დელეგაცია გვედავება თუმცა მაინც აღნიშნავს, რომ დელეგაციას არ ქონდა საშუალება დამოკიდებულება დაეჭირა იმ დაკავებულებთან, რომლებიც ნავთსადგურში მუშაობდნენ. რომ ასეთს ფაქტს ადგილი ქონებოდა, მაშინ ორივე რწმუნებულს თანაბრათ ეცნობოდა, ეს, ასეთი შემთხვევის გამო შესდგებოდა ოქმი, რომელიც შერეულს კომისიას მოეხსენებოდა. ამავე დროს კი კოსტანაიშვილი კატეგორიულათ უარყოფს ყოველგვარ ფაქტს დაკავებულების დელეგაციასთან მიუშვებლობის შესახებ. გარდა ერთად ერთი შემთხვევისა, როდესაც ერთს სამხედრო ტყვეს აეკრძალა ბანაკიდან გამოსვლა 6 საათის შემდეგ, რაც დამოკიდებული იყო საბანაკო წესებზე თუმცა იმავე სამხედრო ტყვეს მეორე დღესვე მიეცა კომისიასთან დამოკიდებულების საშუალება. ბოლოს რუსეთის დელეგაციის მტკიცება იმის შესახებ, რომ, თითქოს, დამოუკიდებულება ქონდა მხოლოთ 100-120 წ. დაკავებულთან აგრეთვე კატეგორიულათ უარყოფილია კაპიტან კოსტანაიშვილის მიერ, რომელიც ადასტურებს მის მიერ აღნიშნულ რიცხვის სინამდვილის, ე. ი. დაახლოვებით 500 კაცის მიერ ნახვას.

## საზღვარ-გარეთ

**ოსმალეთის ზავი.**

„მატენი" იუწყება რამად ფერიდის კონსტანტინოპოლში მისვლისა და სულთანის მიერ მისი მიღების შესახებ. მეფის ვეზირულობის წევრთა თათბირის შემდეგ, რომელიც ხელშეკრულობაზე ხელის მოწერას შეეხებოდა, საკითხი სამეფო საბჭოს გადაეცა. ეჭვს გარეშეა, სწერს გაზეთი, რომ ოსმალეთი, ხელს არ მოაწერს საზავო ხელშეკრულობას, რასაც მოყვება ოსმალეთისათვის კონსტანტინოპოლის დაკარგვა. ყოველ შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

**მესოპოტამიაში.** ლონდონი ივლ. 17. იუწყებიან: ინგლისის ჯარსა და აჯანყებულ არაბთა შორის მესოპოტამიაში, ბასრ-ბაღდადის რკ. გზის ხაზზე, შეტაკება მოხდა.

**სირიიდან** მოსული უკანასკნელი ცნობებით ემირ ფაიკალის ოჯახური მოქმედება ამხელებს მანდატის განხორციელებას, რომელიც საფრანგეთსა აქვს ჩაბარებული. გენ. გურომ ემირ ფაიკალს ნამდვილი პასუხი მოსთხოვა, თუ როგორი დამოკიდებულების დაჭერა სურს მას საფრანგეთთან. კომისარი მოითხოვს, რათა არ ექნეს შეუზღუდველი უფლება რკინის გზებზე მიმოსვლისა, რასაც ფაიკალი ყოველგვარი საშვალებით ხელს უშლიდა. საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს სადგ. რეიაკი და მოგვლაკი, რომლებიც საფრანგეთის ნეიტრალურ ზონაში იმყოფება. თუ ემირი ფაიკალი გაძალიანდა, მაშინ მიღებული იქნება ყოველგვარი ზომა, რომ მან საფრანგეთის მანდატს მეტი პატივი სცეს.

**საბერძნეთი ოსმალეთში.** ფრანგულ გაზეთებში გადმობეჭდილ ლონდონის ცნობებით საბერძნეთის დივიზიები, რომელსაც ეხმარება საფრანგეთის ჯარები და ინგლისელების გემები სდგანან ჩატალჯაში და ემზადებიან რამდენიმე ათასი ოსმალო ნაციონალისტის გარს შემოსარტყმელათ. მოკავშირეებს აზრათ აქვთ ადრიანოპოლში ერთად იმოქმედონ. ფრანგებს მინდობილი აქვთ კონსტანტინოპოლისაკენ გაქცეული აჯანყებულების დატყვევება.

**სპას კონფერენცია.** სპის კონფერენცია შაბათს დასრულდა. „პტი პარიზიენის" ცნობით მოკავშირენი ავსტრიის, ბულგარეთის და უნგრეთის მიერ ზარალის ანაზღაურების შესახებ შეთანხმდენ. საერთო ზარალი განაწილებული იქნება შემდეგნაირად: იტალია მიიღებს 20 პრ. საბერძნეთი—18 პრ., რუმინეთი—12 პრ., სერბია—10 პრ. დანარჩენი თანხა განაწილდება სხვა სახელმწიფოთა შორის იმავე პროპორციით, როგორითაც გერმანიის კონტრიბუცია. იგივე დეპეშა იუწყება, რომ რუმინეთმა ინგლისს და საფრანგეთს მცირე აზიის ოპერაციებისათვის თავის დახმარება შესთავაზათ.

## პოლონეთ-რუსეთის ომი

საბჭოთა ბიურო იუწყება: პოლონეთის ფრონტი: სასტიკი ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავიკავეთ ქალ. ვილნო. მოწინააღმდეგე კონტრ-იერიშებზე გადმოდიოდა ვილნოს მიდამოებში. ქუჩებში ბრძოლამ გასტანა 6 საათს. მასში მონაწილეობდენ ლეგიონერი ქალები. დამარცხებული მტერი გროდნოსკენ იხევს. ჩვენმა ნაწილებმა მტრის დევნის დროს დაიკავეს დაბა პოსტროტი და რადუვიშკი. 15 ივლ. ლიტვის რესპუბლიკის ჯარების პირველი დივიზია შევიდა ქალ. ვილნოში და ჩვენ ნაწილებთან ერთად გაანადგურა პოლონელების ლიტვა-ბელორუსეთის მეორე დივიზია. ხელთ ვიგდეთ 16 ზარბაზანი და სხვა დავლა. სხვა ფრონტებზე ჩვენი შეტევა სასურველად ვითარდება.

ბარანოვიჩის მიმართულებით ჩვენი შეტევა რკ. გზის გასწვრივ სასურველად მიმდინარეობს, ჩვენ დავიკავეთ სოფლეთა მთელი რიგი მინსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით 50 ვერსზე. სამხრეთით ჩვენ დავიკავეთ ქალ. ლუცკი.

დნეპრის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა გადალახეს დნეპრის მარცხენა ნაპირი და უბრძოლველად დაიკავეს გორნოსტაევკა და კაირი. ალექსანდროვსკო-არესოვის რაიონისაკენ იგევენ. ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარებმა დაიხიეს მდ. ჩიმგულის ჩრდილო ნაპირისაკენ.

პოლონეთის შტაბის ცნობით, პოლონეთის ჯარები ქუჩებში მომხდარ მკაცრ ბრძოლების შემდეგ იძულებული გახდენ მტრის უმრავლესობის შეტევის გამო დაეტოვებიათ ვილნო. კრემენცის სამხრეთით მტერმა სასტიკად შეუტია პოლონელების პოზიციებს. შეტევა მოგერებულ იქმნა. სბრუჩზე პოლონელებმა უკუ აგდეს მტრის ცდა მდინარეზე გადმოსვლისა. პოლესიაში მდგომარეობა უცვლელია.

ბოლონეთის ფრონტზე სერიოზული მდგომარეობის გამო ზოგიერთმა მიმდინარეობამ გაიმარჯვა და პოლონეთის საზოგადოებრივი აზრი თანახმაა მას დაემორჩილოს. ვარშავაში გრაბსკის დაბრუნების შემდეგ მომხდარი მთავრობის კამათი დასრულდა იმ პირობების მიღებით' რომლებიც ინგლისის მთავრობის ნოტაში ჩამოთვლილი. ვარშავის კაბინეტმა თავისი გადაწყვეტილება მოკავშირეებს აცნობა.

გაზეთები იუწყებიან: პოლონეთმა მიიღო დროებითი ზავის პირობები, რომელიც ლოიდ ჯორჯმა წარუდგინა მას საბჭოთა რუსეთთან ზავის შეკვრის შესახებ.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდ კერზონმა ჩიჩერინს რადიოთი გაუგზავნა ნოტა, სადაც იგი რუსეთს წინადადებას აძლევს, რომ მან პოლონეთთან დროებითი ზავი შეკრას.

„ეხო დე პარის" ცნობით ბოლშევიკებმა მიიღეს ინგლისის პირობები პოლონეთთან მოლაპარიკების შესახებ, ისინი მიუთითებენ ბრესტლიტოვსკზე, სადაც უნდა შეხვდენ მოპირდაპირეთა წარმომადგენლები.

## ახალი ამბები.

**ბალშევიკური გაზეთების დახურვა.** ტფილისი 19 ივლ. შაბათს, 17 ივლისს სასამართლოს პროკურორმა აცნობა გაზეთი „საქართველოს კომუნისტის" და „კომუნისტის" გამოცემის შეჩერების, მათი რედაქტორების ორახელაშვილისა და თუმანოვის დაპატიმრების შესახებ. ეს პირები პალატის პროკურორზე გადაირიცხა.

გამოძიებას აწარმოებს გამომძიებელი დილევსკი. ხსენებული განკარგულება უკვე სისრულეში მოყვანილი. ორახელაშვილი დაიმალა.

**შინაგან საქმეთა მინისტრი** ნ. რამიშვილი გაემგზავრა ბათუმში. მას თან წაყვა განათლების მინისტრის ამხანაგი ნ. ცინცაძე. შინაგან საქმეთა სამინისტროს დირექტორი ს. გეგელაშვილი და ჯანმრთელობის დეპარტამენტის დირექტორი ჯაფარიძე.

**მიწათ-მოქმედების** და გზათა მინისტრი ნ. ხომერიკი დასასვენებლად წავიდა. მიწათ-მოქმედების მინისტრის თანამდებობა დაევალა მინისტრის ამხანაგს ი. მ. მალანიას. გზათა მინისტრის მოვალეობა დაეკისრა გზათა დეპარტამენტის დირექტორს ბ-ნ ჰიჰინაძეს. მიწათ-მოქმედების მინ. მოვალეობის აღმასრულებელი იღებს მთხოვნელებს ყოველ დღე 8 ნახ. 9 საათზე.

**სახელმწიფო ბანკში.** 16 ივლისს საქართველოს სახელმწიფო ბანკის საბჭოს სხდომაზე გადასწყვიტეს რამდენიმე ორგანიზაციული ხასიათის კითხვა. დაადგინეს სხვა და სხვა ოპერაციებზე 10-12 პროც.-მდის დაწესება. რაც შეეხება ბანკის აქტიურ ოპერაციებს. დაადგინეს აწარმოვონ მხოლოდ ხანმოკლე აქტიური ოპერაციები არა უმეტეს სამი თვისა. შემდეგ დააწესეს ბანკის განმანაღდებელ კომიტეტის წევრების რიცხვი. იქნება 12 წევრი. კომიტეტის წევრებს ირჩევს ბანკის კომიტეტი.

სახელმწიფო ბანკის გამგეობამ გადასწყვიტა შუამდგომლობა აღძრას ბანკის განკარგულებაში 100 მილიონი მანეთის გადაცემის შესახებ. ეს თანხა მას უნდა მოეწველობის გასაფართოებლად და კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისათვის დახმარების მისაცემად.

## საეკლესიო კრება

(ო ქ მ ე ბ ი).

**V. ოთხშაბათი, ივლისის 1.**

კრება გაიხსნა ქვაშვეთის ტაძარში დილის 9 საათზე მისი უწმიდესობის, საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის თავმჯდომარეობით.

კრებას დაესწრენ პრეზიდიუმის წევრები მიტროპოლიტები: ნაზარი ქუთათელი და ამბროსი ცხუმ-აფხაზეთელი, დეკანოზი გაბრიელ ცაგარეიშვილი, დეკანოზი დიმიტრი მარღანია, ბატონი პართენ გოთუა და ქიტიაშვილი; მდივნები: ერასტი თუთბერიძე, დეკანოზი გიორგი ინაშვილი, და სხვ.

წაკითხულ და მიღებულ იქმნა 29 და 30 ივნისის მოქმედებათა ოქმები 30 ივნისის ოქმის ცოტაოდენ შესწორებით.

კრებას მისი თავმჯდომარის ნებართვით, მიმართა მოკლე სიტყვით სამხედრო უწყების წარმომადგენელმა ბატონმა შავდიამ, რომელმაც ითხოვა, რათა საქართველოს რესპუბლიკის მთლიანობის დაცვის დროს დაღუპულ მეომართა სამღვდელოება იხსენიებდეს ეკლესიაში ღვთის მსახურების დროს, ხოლო ამ ხანათ მათი საპატიო ხსოვნა აღინიშნოს მთელი კრების ფეხზე ადგომით, რაიცა კრების მიერ სიამოვნებით იქმნა დაკმაყოფილებული:

შემდეგ კრება გადავიდა საკათოლიკოზო საბჭოსაგან შემუშავებულ საეკლესიო დებულების მუხლებრივ განხილვაზე. გადასინჯულ იქმნა 23, 24, 25, 26 და 28 მუხლები აღნიშნული დებულებისა, აგრეთვე 3 შენიშვნა 24 მუხლისა და 4 შენიშვნა 28 მუხლისა;

შემდეგ ხანგრძლივ კამათისა ეპარქიის მღვდელმთავრის უფლება-მოვალეობაზე და მასთან არსებულ საბჭოებზე, ყველა ეს მუხლები და შენიშვნები ხმის უმეტესობით მიღებულ იქმნენ შემდეგი შესწორებით:

1) 24 მუხლის მეორე შენიშვნაში აღნიშნულ დაცლილ ეპისკოპოზის ადგილზე კანდიდატების სიის შესამუშავებლად 40 დღე შეიცვალა სამი თვით.

2) 25 მუხლში აღნიშნული საეპარქიო დაწესებულებათა მოსამსახურეთა და საეკლესიო კრებულის წევრთა სამსახურისაგან დროებით თავისუფლება „არა უმეტეს ერთი თვისა" შეიცვალა ორი თვით.

3) 27 მუხლში მოხსენებული საეპარქიო კრება მიღებულია ჩვეულებრივი და არა ჩვეულებრივი.

4) 28 მუხლის პირველ შენიშვნაში აღნიშნული საეპარქიო კრების დელეგატი უნდა იქმნეს: საერო პირთაგან ისეთი, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ მაინც არის ნაზიარები, ხოლო სამღვდელო პირთაგან ის, ვისაც ყოველ წლიურ ორ ჯერ უთქვამს აღსარება თავის მოძღვართან და არც ერთს მათთაგანს სასამართლოსაგან არა აქვს ჩამორთმეული ან შეზღუდული საზოგადოთ კრებაზე დასწრების უფლება.

წაკითხულ იქმნა დეპეშა თბილისის სომეხთა-სამღვდელოებისა, რომელითაც იგი, ესალმება რა საეკლესიო კრებას, უსურვებს მას წარმატებას და კეთილ ნაყოფიერებას საკეთილდღეოდ საქართველოს ეკლესიისა, სამღვდელოებისა და ერისა და მასთან თხოულობს, რათა მის წარმომადგენელს ნებართვა ექმნეს კრებაზე დასწრებისათვის, რაზედაც კრებამ იმა სამღვდელოებას გაუგზავნა მადლობა და აღნიშნული ნებართვა.

დეკანოზმა იასონ კაპანაძემ გაახსენა კრებას, რომ იგი გუშინ 30 ივნისს, თანახმად კრების დავალებისა, გამოცხადდა ქალაქის თვითმართველობაში მოურავთან მოსალაპარაკებლად თავისუფლების მოედანზე საეკლესიო კრების მიერ დანიშნულ პარაკლისის მოწყობის შესახებ, მაგრამ ქალაქის მოურავი იქ არ იყო, მისმა მოადგილემ მას მიღების დრო გადაუდვა, რომელი დროისთვის მოცდა მან კრებისთვის სათაკილოდ ჩათვალა და წამოვიდა, ამის გამო დაევალა დეკანოზ თოთიბაძეს და ბატონ შავდიას კრების სახელით მიმართვა გარნიზონის უფროსისადმი თავისუფლების მოედანზე კრების მიერ პარაკლისის გადახდის დროს წესიერების დასაცავად.

12 საათზე საეკლესიო კრება, მთელი თავის შემადგენლობით, საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის მეთაურობით, ქაშვეთის ეკლესიიდან შემოსილი მღვდელმთავრებით და სამღვდელოებითურთ გაემართა თავისუფლების მოედანზე დიდ ძალი საზოგადოების თანხლებით, სადაც გადახდილ იქმნა პანაშვიდი საქართველოს რესპუბლიკის მთლიანობის და დაცვის დროს სხვა და სხვა ფრონტზე დაღუპულთათვის და სამადლობელი პარაკლისი ქალაქ ბათუმის და მისი ოლქის ამა რესპუბლიკასთან შემოერთებისა გამო.

მისი უწმიდესობის კათოლიკოზ-პატრიარქის ლეონიდეს მიერ იქვე პარაკლისის გადახდის წინ წარმოთქმულ იქმნა გრძნობიერი სიტყვა, რომელშიაც მისმა უწმიდესობამ, სხვათაშორის, აღნიშნა რა უაღრესი აღფრთოვანება და სიხარული მთელი საქართველოს ერისა და სამღვდელოებისა ბათუმის საქართველოსადმი დაბრუნებისა გამო, დაადასტურა, რომ სამღვდელოება ასე როგორც წარსულში და აწმყოში, ისე მომავალშიაც თავდადებული თანამშრომელია მთელი საქართველოს ერისა და ღვთის წინაშე მავედრებელი მისი სამშობლო ქვეყნის და ერის წარმატებისა და კეთილ დღეობისათვის.

კრება დაიხურა 4 საათზე.

სამ. სამინისტროს სტამბა ლორის-მელიქის ქუჩა.

რედაქტორი: გრ. ვეშაპელი